ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №273448

ნომერი: AR166424

თარიღი : 14.07.2012

გაცემის თარიღი : 27.07.2012

გაცნობის თარიღი : 26.09.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩაზე , "ოკრიბა"-ს ავტოფარეხების მიმდ. (8/73, 8/74), /ქუჩა ბელიაშვილი კინოსტუდიის მოპირდაპირედ(8/50)/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , შ.პ.ს. ,,ოკრიბა"-ს ავტოფარეხების მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი კვიწინაშვილი პ/ნ 01006005364
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 1 ბ. 9

ორგანიზაცია:
- გოდაკო+ კოდი: 202269035

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

თქვენი 2012 წლის 14 ივლისის #არ166424 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის შეცვლის გამო, კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 20.09.2011წ. #01/2816 ბრძანებაში ცლილების შეტანას, გაცნობებთ, რომ სამშენებლო მიწის ნაკვეთის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების ცვლილება თავდაპირევლად უნდა აისახოს ქ. თბილისის მერიის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ გამოცემულ 25.11.2004წ #ბ–140 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში, რომლის საფუძველზეც მოხდა თქვენს მიერ განაცხადის რეგისტრაციის დროს მითითებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემა.
არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის შეცვლის მიზნით, აღნიშნული განაცხადის საფუძველზე მოგეცემათ ნომენკლატურის შეცვლის შესაძლებლობა, რის შემდეგაც განაცხადის რეგისტრაციის დროს უნდა აირჩიოთ – ,,მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები''–ს გრაფა, შემდგომ აირჩიოთ „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება'' და ადმინისტრაციული აქტის რეკვიზიტებში მიუთითოთ 25.11.2004წ #ბ–140. განაცხადის სწორად რეგისტრაციის შემდგომ სამსახური იმსჯელებს აღნიშნულ საკითხზე და მიღებული გადაწყვეტილება გეცნობებეთ ელექტრონულად.

ამასთან, განგიმარტავთ, რომ არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შემდგომ შეგიძლიათ მოახდინოთ არქიტექტურული პროექტის კორექტირება, რისთვისაც თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე ელექტრონული განაცხადებების მშენებლობის ნებართვის ველში უნდა აირჩიოთ ობიექტის სახეობა, შეავსოთ სარეკონსტრუქციო შენობის პარამეტრების განმსაზღვრელი გრაფები და აირჩიოთ ქმედებების ჩამონათვალში პროექტის კორექტირება, რის შემდგომაც განგესაზღვრებათ წარმოსადგენი დოკუმენტაციის სია. დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდეგ სამსახური იმსჯელებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რის შესახებაც გეცნობებათ ელექტრონული ფორმით.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge